SEPTEMBER 10 19:00

ნიკოლაი შეპს-ცნაიდერი – ვიოლინო
ანდრეი გუგნინი – ფორტეპიანო

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756–1791)
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 21 მი მინორი, K. 304
Allegro
Tempo di Menuetto

სერგეი პროკოფიევი (1891–1953)
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 2 რე მაჟორი, თხზ. 94a
Moderato
Scherzo: Presto
Andante
Allegro con brio

დმიტრი შოსტაკოვიჩი (1906–1975)
ოთხი პრელუდია, თხზ. 34 (არანჟირების ავტორი დ. ციგანოვი)

სეზარ ფრანკი (1822–1890)
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის ლა მაჟორი
Allegretto ben moderato
Allegro
Recitativo-Fantasia: Ben moderato – Molto lento
Allegretto poco mosso

Nikolaj Szeps-Znaider – Violin
Andrey Gugnin – Piano

Wolfgang Amadeus Mozart (1756–1791)
Sonata for Violin and Piano No. 21 in E Minor, K. 304
Allegro
Tempo di Menuetto

Sergei Prokofiev (1891–1953)
Sonata for Violin and Piano No. 2 in D Major, Op. 94a
Moderato
Scherzo: Presto
Andante
Allegro con brio

Dmitri Shostakovich (1906–1975)
Four Preludes from Op. 34 (arr. by Dmitri Tsyganov)

César Franck (1822–1890)
Sonata for Violin and Piano in A Major
Allegretto ben moderato
Allegro
Recitativo-Fantasia: Ben moderato
Allegretto poco mosso

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი – სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 21 მი მინორი, K. 304
მოცარტმა K. 304 1778 წელს პარიზში შექმნა. იგი იმ ექვსი სონატისგან შემდგარ ციკლს განეკუთვნება, რომლებიც კომპოზიტორმა მანჰაიმსა და პარიზში მოგზაურობისას დაწერა და მოგვიანებით პფალცის კურფიურსტის მეუღლეს, მარია ელიზაბეთს მიუძღვნა. პარიზული პერიოდი მოცარტის ცხოვრებაში განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა: იგი საფრანგეთის დედაქალაქში სამსახურისა და პროფესიული წარმატების იმედით ჩავიდა, მაგრამ სასურველი თანამდებობა ვერ მოიპოვა; 1778 წლის 3 ივლისს კი იქვე გარდაიცვალა მისი დედა, ანა მარია მოცარტი, რომელიც კომპოზიტორს მოგზაურობაში ახლდა. არ არსებობს საფუძველი, ეს სონატა უშუალოდ ამ ტრაგედიას დავუკავშიროთ, თუმცა ფაქტია, იგი სწორედ მოცარტის ცხოვრების ამ რთულ პარიზულ თვეებს განეკუთვნება. უჩვეულოდ კომპაქტური სონატა მხოლოდ ორი ნაწილისგან შედგება.

სერგეი პროკოფიევი – სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 2 რე მაჟორი, თხზ. 94a
პროკოფიევის მეორე სავიოლინო სონატას უჩვეულო „ორმაგი ბიოგრაფია“ აქვს. 1943 წელს კომპოზიტორმა იგი თავდაპირველად ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის დაწერა (თხზ. 94). დავით ოისტრახმა მაშინვე დაინახა, რომ ნაწარმოები ვიოლინოზეც შესანიშნავად იჟღერებდა და პროკოფიევს ვერსიის შექმნა შესთავაზა. 1944 წელს კომპოზიტორმა სოლო პარტია თავად გადაამუშავა; ამიტომ თხზ. 94a უბრალო ტრანსკრიფცია კი არა, ავტორის მიერ სანქცირებული მეორე ვერსიაა. სავიოლინო ვერსიის პრემიერა 1944 წლის 17 ივნისს მოსკოვის კონსერვატორიაში გაიმართა. ასრულებდნენ დავით ოისტრახი და ლევ ობორინი – ორი მუსიკოსი, რომლებთანაც პროკოფიევს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა. ოისტრახი მოგვიანებით პროკოფიევის პირველი სავიოლინო სონატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინტერპრეტატორიც გახდა. ნაწარმოები მეორე მსოფლიო ომის წლებში შეიქმნა, როდესაც საბჭოთა ხელოვანთა დიდი ნაწილი ევაკუაციაში ცხოვრობდა; ამ ფონზე, პროკოფიევმა ომის თემაზე შექმნილი პროგრამული კონცეფციის ნაცვლად შემოგვთავაზა კლასიკურ მოდელებზე დაფუძნებული, მკაფიო ოთხნაწილიანი ფორმა.

დმიტრი შოსტაკოვიჩი – ოთხი პრელუდია, თხზ. 34
შოსტაკოვიჩმა 24 პრელუდია, თხზ. 34, ფორტეპიანოსთვის 1932–1933 წლებში შექმნა – თითო პიესა თითოეულ მაჟორულ და მინორულ ტონალობაში. 1935 წელს დმიტრი ციგანოვმა, ბეთჰოვენის კვარტეტის პირველმა ვიოლინომ და კომპოზიტორის ახლო მეგობარმა, ოთხი პრელუდია – Nos. 10, 15, 16 და 24 – ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის გადაამუშავა. სწორედ ეს ოთხეული გახდა ციგანოვის პირველი გამოქვეყნებული ჯგუფი და 1937 წელს დაიბეჭდა. შოსტაკოვიჩი ამ არანჟირებებს განსაკუთრებულად აფასებდა; მოგვიანებით ციგანოვმა კიდევ არაერთი პრელუდია გადაიტანა ვიოლინოსთვის. მნიშვნელოვანია, რომ ეს ვერსიები კომპოზიტორის უშუალო გარემოცვაში და მისი მოწონებით შეიქმნა – ამიტომ მათ შესრულების ტრადიციაში თითქმის ავტორიზებული სტატუსი შეიძინეს. ციგანოვთან და მთლიანად ბეთჰოვენის კვარტეტთან შოსტაკოვიჩის კავშირი ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდა: ანსამბლმა მისი კვარტეტების უმეტესობის პრემიერა შეასრულა და კომპოზიტორის კამერული მუსიკის ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა.

სეზარ ფრანკი – სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის ლა მაჟორი
ფრანკმა თავისი ერთადერთი სავიოლინო სონატა 1886 წელს შექმნა და იგი ბელგიელ ვირტუოზ ეჟენ იზაის საქორწინო საჩუქრად მიუძღვნა. 26 სექტემბერს, ქორწილის დილას, იზაის პარტიტურა ფრანკის მეგობარმა შარლ ბორდმა გადასცა; მოკლე რეპეტიციის შემდეგ იზაიმ და პიანისტმა მარი-ლეონტინ ბორდ-პენმა სონატა იმავე დღეს სტუმრებისთვის შეასრულეს. კიდევ უფრო დაუვიწყარი აღმოჩნდა საჯარო პრემიერა 16 დეკემბერს ბრიუსელში. კონცერტი სამ საათზე დაიწყო, სონატა კი პროგრამის ბოლოს იყო. როდესაც მისი შესრულების დრო მოვიდა, მუზეუმის დარბაზში უკვე თითქმის ჩამობნელებულიყო, ხოლო ადმინისტრაცია ხელოვნური განათების გამოყენებას არ უშვებდა. იზაიმ და ბორდ-პენმა დაკვრა მაინც გააგრძელეს და ბოლო სამი ნაწილი თითქმის სრულ სიბნელეში, ზეპირად შეასრულეს. მომდევნო ათწლეულებში იზაი სონატას მთელ მსოფლიოში ასრულებდა და ამბობდა, რომ მას ყოველთვის con amore უკრავდა — რადგან იგი საქორწინო საჩუქარი იყო.

ამ დროს საქართველოში...
სეზარ ფრანკის სავიოლინო სონატა 1886 წელს შეიქმნა. იმავე წელს საქართველოში მოხდა მოვლენა, რომელმაც ქართული პროფესიული მუსიკის მომავალი მნიშვნელოვნად განსაზღვრა: 1886 წლის 15 ნოემბერს თბილისის ქართული თეატრის სცენაზე პირველი საჯარო კონცერტი გამართა ლადო აღნიაშვილის მიერ ჩამოყალიბებულმა „ქართულმა ხორომ“, რომელსაც იოსებ რატილი ხელმძღვანელობდა. ეს იყო ქართული ხალხური სიმღერის პირველი პროფესიული გუნდი. კონცერტს ილია ჭავჭავაძე დაესწრო და „ივერიაში“ ვრცელი გამოხმაურება მიუძღვნა. ამავე გუნდის წევრები იყვნენ ძმები ივანე და ზაქარია ფალიაშვილები, ხოლო 17 წლის დიმიტრი არაყიშვილზე ამ კონცერტმა იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ, ქართული ენციკლოპედიის ცნობით, მან კომპოზიტორობა გადაწყვიტა. ასე ემთხვევა ერთმანეთს 1886 წელს ორი სრულიად განსხვავებული ისტორიული ხაზი: ევროპაში ფრანკის სონატის დაბადება და თბილისში ქართული ფოლკლორის პროფესიულ საკონცერტო სივრცეში დამკვიდრების ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი.

Programme Notes
Notes by Nino Jvania

Wolfgang Amadeus Mozart – Sonata for Violin and Piano No. 21 in E Minor, K. 304
Mozart composed K. 304 in Paris in 1778. It belongs to a group of six sonatas written during his travels in Mannheim and Paris and later dedicated to Maria Elisabeth, Electress of the Palatinate. The Paris period proved exceptionally difficult for Mozart. He had arrived hoping to secure a position and advance his career, but no satisfactory appointment materialised; on 3 July 1778 his mother, Anna Maria Mozart, who had accompanied him on the journey, died in Paris. There is no secure basis for interpreting the Sonata as a direct response to this tragedy, but it belongs to precisely these difficult months of Mozart's life. The work is unusually concise, consisting of only two movements.

Sergei Prokofiev – Sonata for Violin and Piano No. 2 in D Major, Op. 94a
Prokofiev's Second Violin Sonata has an unusual double biography. In 1943, he first composed the work as the Flute Sonata in D major, Op. 94. David Oistrakh immediately recognised its potential for the violin and encouraged Prokofiev to make a new version. In 1944, the composer himself revised the solo part, making Op. 94a not merely a transcription but an alternative version authorised and shaped by Prokofiev. The violin version was premiered at the Moscow Conservatory on 17 June 1944 by David Oistrakh and Lev Oborin, two musicians closely associated with Prokofiev. Oistrakh later became one of the major interpreters of Prokofiev's First Violin Sonata as well. The work was created during the Second World War, when many Soviet artists were living in evacuation; against that background, Prokofiev chose a lucid four-movement design rooted in Classical models rather than an overtly programmatic wartime conception.

Dmitri Shostakovich – Four Preludes from Op. 34
Shostakovich composed his Twenty-Four Preludes, Op. 34, for piano in 1932–1933, writing one miniature in every major and minor key. In 1935 Dmitri Tsyganov, first violinist of the Beethoven Quartet and a close friend of the composer, arranged four of them—Nos. 10, 15, 16 and 24—for violin and piano. These were Tsyganov's first published group of Shostakovich transcriptions and appeared in print in 1937. Shostakovich valued the arrangements highly, and Tsyganov later adapted many more of the preludes for violin. Their importance lies partly in their proximity to the composer: they were created within Shostakovich's own artistic circle and with his approval, giving them an almost authorised place in performance tradition. Tsyganov's relationship with Shostakovich continued for decades through the Beethoven Quartet, the ensemble that premiered most of the composer's string quartets and became inseparable from the history of his chamber music.

César Franck – Sonata for Violin and Piano in A Major
Franck composed his only Violin Sonata in 1886 and offered it as a wedding gift to the Belgian virtuoso Eugène Ysaÿe. On the morning of Ysaÿe's wedding, 26 September, Franck's friend Charles Bordes presented him with the score; after a hurried rehearsal, Ysaÿe and the pianist Marie-Léontine Bordes-Pène played the Sonata for the wedding guests that same day. Its public premiere on 16 December in Brussels produced an even more memorable story. The concert had begun at three in the afternoon, and the Sonata came at the end of the programme. By then the museum gallery was almost dark, while the authorities did not permit artificial light. Ysaÿe and Bordes-Pène nevertheless continued, performing the final three movements virtually in darkness and from memory. In the decades that followed, Ysaÿe carried the Sonata around the world and said that he always played it con amore — because it had been his wedding present.

Meanwhile in Georgia...
César Franck composed his Violin Sonata in 1886. In that same year, an event in Georgia marked an important step toward the future of professional Georgian music: on 15 November 1886, the "Georgian Choir" founded by Lado Aghniashvili and directed by Ioseb Ratil gave its first public concert at the Georgian Theatre in Tbilisi. It was the first professional ensemble devoted to Georgian folk song. Ilia Chavchavadze attended the concert and wrote an extensive response in Iveria. The choir also included the brothers Ivane and Zakaria Paliashvili, while the performance made such a strong impression on the seventeen-year-old Dimitri Arakishvili that, according to the Georgian Encyclopedia, he decided to become a composer. Thus two very different historical lines meet in 1886: the creation of Franck's sonata in Western Europe and, in Tbilisi, a decisive step in bringing Georgian traditional music into professional concert culture.